



ს.ს.ი.პ. სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების სააგენტო

ბრძანება

№ 2-210

„19“ აგვისტო 2014

ქ. თბილისი

სსიპ სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების სააგენტოს
შინაგანაწესში ცვლილებების შეტანის თაობაზე

„საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 63-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად,

ვბრძანებ:

1. სსიპ სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების სააგენტოს თავმჯდომარის 2014 წლის 24 ივლისის N2-153 ბრძანებით დამტკიცებული შინაგანაწესის მე-7 მუხლში შევიდეს ცვლილებები და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ მუხლი. 7. სამუშაო დრო

- 7.1. სამუშაო დრო არის სააგენტოს მიერ დადგენილი სამუშაო დროის ხანგრძლივობა, რომლის განმავლობაშიც დასაქმებული ვალდებულია შეასრულოს დაკისრებული სამუშაო.
- 7.2. დასაქმებულთა სამუშაო კვირა განისაზღვრება 5 (ხუთი) სამუშაო დღით, ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით, ხოლო სამუშაო დღე 8 (რვა) საათით.
- 7.3. სამუშაო დღე იწყება 9:00 საათზე და სრულდება 18:00 საათზე.
- 7.4. საპატიოდ ჩაითვლება 9:00 საათიდან - 9:15 საათამდე სამსახურში გამოუცხადებლობა.
- 7.5. დასაქმებულს 9:15 საათის შემდეგ გამოცხადება ან/და 18:00 საათამდე სამსახურის დატოვება ჩაეთვლება არასაპატიოდ, რაც შეიძლება გახდეს მის მიმართ დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების საფუძველი, გარდა შინაგანაწესით ან/და ინდივიდუალური ხელშეკრულებით დადგენილი წესისა.
- 7.6. სამუშაო დროში არ ითვლება შესვენების და დასვენების დრო.“

2. დაევალოს სსიპ - სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების სააგენტოს საქმეთა მმართველს - მარინე დოსმიშვილს სააგენტოში დასაქმებულ პირთათვის ბრძანების გაცნობა.

3. ბრძანება ძალაში შევიდეს 2014 წლის 1 სექტემბრიდან.

საფუძველი: საქართველოს პრემიერ-მინისტრის 2014 წლის 4 აგვისტოს N270 ბრძანება.

თავმჯდომარე

გ. მიშელაძე